# „კარდიოლა“ კიდევ მრავალს განკურნავს

**გულ-სისხლძარღვთა სისტემის პათოლოგიათა შორის გულის ქრონიკული უკმარისობა, ლეტალობის თვალსაზრისით, პირველ ადგილზე დგას. ამ პრობლემით, ჯერ კიდევ, 80-იან წლებში დაინტერესდა პროფესიით თორაკო-ქირურგი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, ქართულ-შვეიცარიული კლინიკა „კარდიო-სტილის“ ხელმძღვანელი, ბატონი ლერი ლაფანაშვილი.**

„ქრონიკის“ წინა ნომერში ვისაუბრეთ უნიკალური აღმოჩენის, კერძოდ გულ-სისხლძარღვთა პათოლოგიით დაავადებულ ადამიანთა არაინვაზიური მეთოდით – კუნთოვანი კონტრპულსაციით მკურნალობის თაობაზე, რომელიც არაინვაზიური სისხლის მიმოქცევის მხარდაჭერას წარმოადგენს. ამ მიმართულებით შექმნილი აპარატ „კარდიოლათი“ მკურნალობა ხელმისაწვდომია ნებისმიერი პაციენტისთვის კლინიკა „კარდიო-სტილში“.

**ლერი ლაფანაშვილი:**

– პაციენტთა უმეტესობას, რომლის მდგომარეობა, მიუხედავად მრავალჯერ შერჩეული მაქსიმალური მედიკამენტოზული მკურნალობისა, არ არის დამაკმაყოფილებელი, ამიტომ მათთვის მიზანშეწონილია „კარდიოლათი“ მკურნალობა; შედეგები თავისთავად მეტყველებს მეთოდის უნიკალურობაზე: პაციენტთა ჯანმრთელობის მდგომარეობა საგრძნობლად უმჯობესდება, ჩივილები იხსნება და კონტრპულსაციას კარგად იტანენ. „კარდიოლა“ მოქნილობის გამო შესაძლებელს ხდის ერთი პროცედურის განმავლობაში რამდენიმე დაავადებაზე ერთდროულ სამკურნალო ზემოქმედებას – მაგალითად, პაციენტს, რომელსაც გულის პათოლოგიასთან ერთად აწუხებს **რადიკულიტი, ოსტეოქონდროზი, შაქრიანი დიაბეტის გართულებები (ქვემო კიდურების სისხლძარღვოვანი პათოლოგიის სახით, ნეიროპათიები და სხვა),** ნევროლოგიური, გინეკოლოგიური პრობლემები. 2008 წლისთვის ეს მეთოდი წარმატებით გამოიყენეს 800-ზე მეტ გულ-სისხლძარღვთა პათოლოგიის მქონე ავადმყოფთან საქართველოში, უკრაინაში, გერმანიასა და შვეიცარიაში. დაგროვილია, ასევე, ხუთწლიან დაკვირვებათა გამოცდილება გულის ქრონიკული უკმარისობის მქონე პაციენტებზე, რომლებიც სახლის პირობებში მკურნალობდნენ. შედეგებით დაინტერესდნენ შვეიცარიაში. ქალაქ ვინტერტურში კომპანია „კარდიოლაც“ ჩამოვაყალიბეთ. სწორედ ამ კომპანიის მეშვეობით ჩავატარე კვლევები, რომლის შედეგადაც შეიქმნა რამდენიმე თაობის „კარდიოლას“ აპარატი.

## „კარდიო-სტილი“ მთელი გულით თქვენი გულისთვის






კლინიკა „კარდიო-სტილში“ პაციენტებთან ერთად გავესაუბრე კარდიოლოგებს, **ქალბატონ თამილა გიორგაძეს და ბატონ გია მარდალეიშვილს.** გავეცანი პაციენტთა ავადმყოფობის ისტორიებს „კარდიოლათი“ მკურნალობამდე და მკურნალობის შემდეგ, კარდიოლოგების დახმარებით დავუკავშირდი ერთ-ერთ პაციენტს, რომელმაც ერთი წლის წინათ გაიარა მკურნალობის სამი კურსი „კარდიოლათი“. ქალბატონი ბ. ბ. შესანიშნავად გრძნობს თავს, სრულიად შრომისუნარიანია.

**პაციენტი ბ. ბ. (67 წლის ექიმი)** დიაგნოზით — გულის იშემიური დაავადება, იშიო-რადიკულიტი — კლინიკაში მკურნალობამდე უჩიოდა მწვავე სისტემატურ ტკივილს გულისა და წელის არეში, 5 წუთში ფეხზე დგომა არ შეეძლო. წლების განმავლობაში ადევნებდა თვალს ბატონ ლერის საქმიანობას და აქედან გამომდინარე, გადავწყვიტე ესარგებლა კუნთოვანი კონტრპულსაციით. მე-3 სეანსიდან მოეხსნა ყველა ზემოთ აღნიშნული ჩივილი, თანდათან იგრძნო ენერგიის მომატება. პაციენტი ბ.ბ. დღეს მხნედ და კარგად გრძნობს თავს.

**პაციენტი მ. ჯ. (72 წლის)** დიაგნოზით — გულის იშემიური დაავადება, გულის უკმარისობა. იტარებდა აქტიურ მედიკამენტულ მკურნალობას. კლინიკა „კარდიო-სტილში“ ამბულატორიულად ჩაუტარდა კუნთოვანი კონტრპულსაციის 2 სრული კურსი, რის შედეგადაც განდევნის ფრაქცია 38%-დან 47%-მდე გაეზარდა. ავადმყოფის მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესებულია და შრომისუნარიანობა მკვეთრად გაზრდილი.

**პაციენტი მ. ნ. (76 წლის)** დიაგნოზით — გულის იშემიური დაავადება, გულის უკმარისობა (I I I ხარისხის), არტერიული ჰიპერტენზია. მას კლინიკაშივე გავესაუბრეთ:

— წლების განმავლობაში ვმკურნალობდი მედიკამენტებით, მაგრამ შედეგით კმაყოფილი არ ვიყავი. „კარდიო-სტილში“ ამჯერად ვასრულებ მკურნალობის ერთ სრულ კურსს. უკვე აღარ ვუჩივი ძლიერ ჰაერის უკმარისობას, ადვილად დაღლას, ტკივილებს გულმკერდის არეში. აღნიშნული მეთოდით არასდროს მისარგებლია, დღეს ჩემი მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესებულია. სტიმულაციის ეს მეთოდი სრულიად განსხვავებულია.

**P. S.** მეთოდი, რომელიც გულის დაავადების გარეშე სიცოცხლეს გვპირდება, კლინიკა „კარდიო-სტილშია“ დანერგილი. უნიკალურმა აპარატმა „კარდიოლამ“ მრავალი საოცრება უკვე მოახდინა და კიდევ მრავალ გულით დაავადებულ ადამიანს დაავიწყებს, სად აქვს გული.

*მოამზადა მაია ცომაიამ*

**დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ ტ. 99-82-77, მისამართი: თაბუკაშვილის ქ. №27 (ოპერის უკან, პოლიციის ეზოში).**